პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 297 (13681)

პარასკევი, 30 დეკემბერი, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

ნოგათეგი სამშობლოს

აფხაზმთის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 30.196 ცენტნერი ხორცი, ანუ გეგმის 110,7 პროცენტი, 50.563 ცენტნერი რძე, ანუ 100,2 პროცენტი. კვერცხის მიყიდვის გეგმა შესრულდა 103,5 პროცენტით. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

◆ საქართველოს კპ ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ფურწუმიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ბერაიამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. კილასონიამ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს: რაიონის მშრომელები სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან საიუბილეო წლის დაწყებას. სახელმწიფოს მიჰყიდეს 347 ტონა მანდარინი და ამით წლიური გეგმა 385,6 პროცენტით გაანაღდეს. ლიმონის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 178,5 პროცენტით, ჩაის პლანტაციის გაშენების გეგმა — 123,9 პროცენტით, ციტრუსოვანთა პლანტაციის გაშენებისა — 300 პროცენტით. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებები.

ახალი წლის მიჯნაზე

გადაჭარბებით შესრულდა

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული ტრესტის მუშაკები, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით ამთავრებენ მიმდინარე სამეურნეო წელს. მათ ნაკისრი ვალდებულება ვადამდე, 20 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს. 1966 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა შესრულებულია 102,8 პროცენტით.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს მექანიზაციის ცალკეულმა სამმართველოებმა. ამ წარმატებათა შესახებ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის მმართველმა შ. აბამეტელმა.

დავალება—ვადამდე

თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს (უფროსი ი. ბოკერია) სისტემის კოლექტივმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. აქ 1966 წლის საქონელბრუნვის გეგმა ვადაზე ადრე — 29 დეკემბრისათვის შეასრულეს. ნაცვლად 40.878 ათასი მანეთისა, ფაქტიურმა შესრულებამ 40.888 ათას მანეთს გადააჭარბა.

გეგმის გაღამეტებით

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე წარმატებას აღწევს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივი. კომბინატმა 23 დეკემბერს გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 65 ათასი მეტრი პირველხარისხოვანი ქსოვილი.

რეალური, ნათელი პერსპექტივები

მიიწურა ხუთწლედის პირველი წელი. ორი დღის შემდეგ ჩვენი სამშობლო შეეგებება ახალ წელს — ხუთწლედის მეორე წელს. ეს წელი ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხებისათვის განსაკუთრებული წელი იქნება — დიდი ზეიმით აღვნიშნავთ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

მიმდინარე წელი ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენებით არის აღსავსე. გასულ შვიდწლედში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველო მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოდდა, სანმოშო წარმატებებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოებულ იქნა ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, „თბილგვირაბმშენის“ სამმართველო და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №1 ტრესტი — „მეტალურგმშენი“. რესპუბლიკის ათასობით მშრომელმა მიიღო საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ მაღალი ჯილდოს პასუხად რესპუბლიკის მშრომელებმა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის პირველი წლის დავალების წარმატებით განხდებისათვის. თავდადებულმა და გონივრულმა შრომამ თვალსაჩინო შედეგი გამოიღო. რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვადაზე ადრე 21 დეკემბრისათვის შეასრულა. რესპუბლიკის დაქვედებარების მრეწველობაში წარმატებით სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ხუთწლედის პირველ წელს, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქმეში. რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, ხილის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, მეცხოველეობის პროდუქტების და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები.

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, მუშაობს რვა საწარმო. ამ საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს მათ მიერ მესამე კვარტალში ნაკისრი გადიდებული გეგმები, მკვეთრად ამაღლდა მათი რენტაბელობის დონე, გაიზარდა მოგება, რის შედეგადაც 23,4 პროცენტით გაიზარდა მატერიალური სტიმულირების ფონდები.

ეს მონაცემები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ახალი ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკის მრეწველობამ მუშაობა გაუმჯობესა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ყველა საწარმო რომ ასრულებდეს საგეგმო დავალებას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა ვერ შეასრულა საწარმოთა საერთო რიცხვის 18 პროცენტმა და სახალხო მეურნეობას დააკლო რამდენიმე მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია. ასევე საწარმოთა მთელი რიგი კოლექტივები ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებას.

საქართველოს მშრომელნი დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულ კანონებს სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ. ეს კანონები ორგანული ერთიანობით ასახავენ რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას და შრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის რესურსების რაოდენობრივ ზრდას და ეკონომიკის შემდგომ ღრმა თვისებრივ ცვლილებებს.

ეს, რასაც მომავალი წლის ხალხმეურნეობა გეგმა ითვალისწინებს, მთლიანად შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული მომავალი წლის საგეგმო დავალებანი ეყრდნობა მტკიცე ბაზას — 1966 წლის სამეურნეო მშენებლობის კარგ შედეგებს. უყველაფერი ისეა გამიზნული, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. ვის არ ახარებს ის ფაქტი, რომ ახალი გეგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გადიდდეს ეროვნული შემოსავალი, სამრეწველო სახის საყოფაცხოვრებო მომსახურება გაიზარდოს 17,7 პროცენტით, არასამრეწველო — 15,8 პროცენტით; სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა თითქმის 1,5-ჯერ გადიდდეს; სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების საწარმოებში გაიზარდოს 1966 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით 5,7 პროცენტით; სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გადიდდეს — 3,5 პროცენტით. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ ახალი მიდგომა ეკონომიკის მართვის საქმეში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმებმა შეიმუშავეს და პარტიის XXIII ყრილობამ მოიწონა, უკვე იძლევა ნაყოფს, რომ ხუთწლედის საწყის მიჯნებზე კარგი საფუძველი ჩაეყარა დიად სასახელო საქმეებს.

ახალ საგეგმო დავალებებში ნაჩვენებია საზოგადოებრივი წარმოების რეალური პერსპექტივები და ეფექტიანობის ამაღლების გზები. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და ეკონომიური რეფორმის თანმიმდევრულ განხორციელებაზე. მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემა იმის მძლავრი ფაქტორია, რომ სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური ეკონომიკის შესაძლებლობანი.

მთავრდება სამეურნეო წელი, იწყება ახალი, 1967 წელი. წარმატებით რომ შეასრულოთ ხუთწლედის მეორე წლის გადიდებული დავალებანი, საჭიროა ღრმა ეკონომიური ანალიზი გავუკეთოთ მიმდინარე წლის მუშაობის შედეგებს, ამთავითვე დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მტკიცედ განვახორციელოთ სამეურნეო ანგარიში, დავაწესოთ მკაცრი კონტროლი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, თავიდანვე მივაღწიოთ რიტმულ მუშაობას. გეგმის ყველა მაჩვენებლები შესრულებას.

პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანაა, ღრმად განუმარტონ, უჩვენონ მასებს, რომ დასახული მაჩვენებლები და ღონისძიებანი ეკონომიურად დასაბუთებული და რეალურია, დარაზმონ მშრომელნი საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

ხუთწლედის მეორე წელი ემთხვევა დიად თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების 50-ე წლისთავს. საქართველოს მშრომელებს თავიანთი სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნიათ დასახული გეგმების შესრულება. ამის საწინდარია ის, რომ მთელი რიგი ფაბრიკები და ქარხნები, საზოგადოებრივი მეურნეობები, მშენებლები და ტრანსპორტის მუშაკები დიდი ხანია მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

ახლა მთავარია პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებას, შეჯიბრების მონაწილეებს შეუქმნან ყველა პირობა, რათა წარმატებით გაანაღდონ ხუთწლედის მეორე წლის დავალება და ღირსეული შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავი.

ზეიმი რუსთავში

რუსთავის მშენებლებმა გაიმარჯვეს საკავშირო კონკურსში

რუსთავი. (საკ. კორ.). უხვმოსავლიანი გამოდგა წლევანდელი წელი რუსთავის მშენებელ-მემონტაჟეებისათვის. ჯერ იყო და მათს შემოქმედებითს შრომას მაღალი შეფასება მიეცა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამიერკავკასიის მეტალურგშენის № 1 ტრესტის კოლექტივი დაჯილდოდა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

ამ გამარჯვებას კიდევ მეორე წარმატება მოჰყვა. რუსთავის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა გაიმარჯვეს ტიპიური პროექტებით მშენებლობის ხარისხისათვის მოწყობილ საკავშირო კონკურსში და პირველი ხარისხის დიპლომები და უფლად პრემიები დაიმსახურეს. უფრო მეტიც. ქიმმრეწვმშენის სამმართველოს კოლექტივმა III კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

დიპლომებისა და გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას მიეძღვნა 22 დეკემბერს საქალაქო საბჭოს სხდომათა დარბაზში გამართული საზეიმო სხდომა.

ტრიბუნაზეა საქართველოს სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე თ. ქუთათელაძე. მან მშენებელ-მემონტაჟეებს მიულოცა საკავშირო კონკურსში გამარჯვება და დიპლომები გადასცა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის, „საქმეკანმონტაჟის“, „საქმეელექტრომონტაჟის“, „იუჟსტალკონსტრუქციის“ და „ფოლადკონსტრუქციის“ რუსთავის სამმართველოთა კოლექტივების, აგრეთვე რუსთავის რკინაბეტონის კონსტრუქციების კომბინატის ხელმძღვანელებს.

ეს დიპლომები მოპოვებულია მეტალურგიული ქარხნის ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარ-მოწყობილობის მონტაჟისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების კომბინატში ავტომატური ხაზის მაღალხარისხოვნად ათვისებისათვის.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ს. ჩხარტიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა გადასცა ქიმმრეწვმშენის სამმართველოს უფროსს კ. უკლებას.

კუბელი ხალხის დღესასწაული

საზეიმო კრება მოსკოვში

28 დეკემბერს მოსკოვში მეცნიერთა სახლში გაიმართა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც კუბის რევოლუციის 8 წლისთავს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. სოლომენცევი, კუბის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი, თვალსაჩინო საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, კუბის საელჩოს თანამშრომლები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა ნ. ნ. მესიაცევმა. (საკდესი).

ოქტომბრის

ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე წარმატებას აღწევს თბილისის № 2 ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო დავალება უყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადაზე ადრე — 25 დეკემბრისათვის შეასრულა და იკისრა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 30 ათასი მანეთის პროდუქცია. ქარხნის ამ საერთო წარმატებაში თავისი შრომითი წვლილი შეაქვს ამწყობი საამქროს ზეინკალთა ბრიგადას, რომელსაც გ. მელაძე თავკაცობს. ბრიგადამ გადაწყვიტა საახალწლოდ გადამეტებით შეკეთებადან 5 მანქანა გამოუშვას.

სურათებზე: (წინა პლანზე მარჯვნიდან) ზეინკალთა ბრიგადის წევრები გ. ობგაიძე, ბრიგადირი გ. მელაძე, საამქროს უფროსი ა. ხარშილაძე და ი. კალტაკოვი ახლა მუშაობენ გეგმის გადამეტებით გამოსაშვები მანქანის შეკეთებაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

წინსვლის წელი

იუწყება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკოსებმა ვადამდე შეასრულეს ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა. შარშანდელთან შედარებით გამომუშავებულ იქნება 38 მილიარდი კილოვატსაათით მეტი ელექტროენერგია.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ცემენტის, აზბესტის, აზბესტცემენტის ნაწარმის, რბილი სახურავის, სათბობი ქვაბებისა და მთელი რიგი სხვა პროდუქტების წარმოების წლიური გეგმა.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა. ზედა ტრიკოტაჟის წარმოების გეგმა შესრულდა 20 დეკემბერს, სელის ქსოვილებისა და ტყავის ფეხსაცმლისა — 24 დეკემბერს, შალის ქსოვილებისა — 27 დეკემბერს, ბამბის ქსოვილებისა — 29 დეკემბერს.

შარშანდელთან შედარებით ბამბის ქსოვილების წარმოება თითქმის 200 მილიონი კვადრატული მეტრით გაიზარდა, შალის ქსოვილებისა — 43 მილიონი კვადრატული მეტრით, სელის ქსოვილებისა — 43 მილიონი კვადრატული მეტრით, ზედა ტრიკოტაჟისა — 33 მილიონი ცალით, ტყავის ფეხსაცმლისა — 36 მილიონი წყვილით.

სამოქალაქო ავიაციის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს საავიაციო ტვირთზიდვის საერთო მოცულობის წლიური გეგმა.

ვადამდე შესრულდა ავიაქიმიურ სამუშაოთა წლიური გეგმა სასოფლო და სატყეო მეურნეობაში.

ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს მინერალური სასუქების, კალცინირებული სოდის, აგტოსაბურავების წარმოების წლიური გეგმა.

შარშანდელთან შედარებით მინერალური სასუქების წარმოება გაიზრდება 14 პროცენტით; გაიზრდება აგრეთვე კალცინირებული სოდისა და აგტოსაბურავების წარმოება.

ფერადი მეტალურგიის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს სპილენძის, ტიტანის, ტყვიის, თუთიის, კალისა და მთელ რიგ სხვა სახეობათა პროდუქციის წლიური გეგმა.

სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების, მოსახლეობის შემოსავლის ზრდის შედეგად მოპოვებულია წარმატებანი საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში.

საცალო საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმა, რომელიც 1966 წელს 110.5 მილიარდი მანეთის ოდენობით იყო დამტკიცებული, შესრულებულია ვადამდე — 28 დეკემბერს.

1965 წელთან შედარებით საცალო საქონელბრუნვა შესაპირისპირად ფასებში გაიზრდება 8,7 პროცენტით. (საკდესი).

ყველაზე დიდი მოსავალი

171 მილიონი ტონა მარცვალი — ყველაზე დიდი მოსავალი ჩვენი ქვეყნის არსებობის მთელ ისტორიაში — მოიწიფა მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 74 მილიონ ტონაზე მეტი მარცვალი. შესყიდვის გეგმა დაახლოებით 31 პროცენტით არის გადაჭარბებული. ეს თქვა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ვ. მაცკევიჩმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა 27 დეკემბერს.

შესყიდულია შარშანდელზე გაცილებით მეტი ღონიერი ჯიშის ხორბალი და თავთუხი, აგრეთვე ბრინჯი, წიწიბურა, ფეტვი, მოწეულია ბამბის, მზესუმზირას კარგი მოსავალი, მთელ რიგ რესპუბლიკებში კი შაქრის ჭარხლის, ხილის, ბოსტნეულის მოსავალი.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შექმნეს სათესლე და საფურაჟე ფონდები, საკმაო რაოდენობით გამოყვეს მარცვალი კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა საჭიროებებისათვის.

ხუთწლედის პირველ წელს კარგი შედეგები მოიპოვეს მეცხოველეებმაც, განაგრძო ვ. ვ. მაცკევიჩმა. ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა და ფრინველის რაოდენობა, ამაღლდა მათი პროდუქტიულობა და მაშასადამე გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოებაც. მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის წლიური გეგმა ვადამდე შესრულდა.

მთელი ეს წარმატებანი, თქვა დასასრულ მინისტრმა, მოვიპოვეთ იმ ღონისძიებათა მოეხებთ, რომლებიც ჩვენმა სახელმწიფომ განახორციელა სკკპ ც.კ.-ის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შემდეგ.

ვ. ვ. მაცკევიჩმა უპასუხა ჟურნალისტთა ბევრ კითხვას. (საკდესი).

„მთვარის ნიშნით“

— ჯერ ერთი, „ლუნა-13“-მა უარყო ცრურწმენითი ნიშანი, რომ „13 ცალი“ — რიცხვი „ცამეტი“ თარსია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს გ. კუდრიავცევას კოსმონავტმა მფრინავმა ალექსი ლეონოვმა. — მთვარის ახალი ავტომატური სადგური რბილად დაჯდა ჩვენი პლანეტის ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირზე და წარმატებით აწარმოებს კვლევას სამეცნიერო პროგრამის შესაბამისად.

ჩვენ უკვე ვნახეთ მთვარის მეცამეტე ავტომატური სადგურის მიერ გადმოცემული ფოტოსურათები. ეს მთვარის ახალი პეიზაჟია. სურათები გვანან იმ ფოტოგრაფიებს, რომლებიც ვნახეთ მიმდინარე წლის დამდეგს, როცა საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-9“-მ მთვარეზე დაჯდომის შემდეგ ირგვლივ „მიმოიხედა“ და დედამიწაზე გადმოსცა „ნანახი“.

ავტომატური სადგური „ლუნა-13“ ახალი დიდმნიშვნელოვანი რგოლია ღამის მნათობის შესწავლის მწყობრ მეცნიერულ სისტემაში. იგი თითქოს აჯამებსო ამ წლის კოსმოსური კვლევის შედეგებს, წლისას, რომელმაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მთვარის ნიშნით“ ჩაიარა.

საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-9“-მ ახალი ერა დაიწყო კოსმოსური სივრცის კვლევაში. დაიწყო მთვარის უშუალო შესწავლა: ოთხასი ათასი კილომეტრი გავლილია 80 საათში, განხორციელდა მთვარეზე რბილად დაჯდომა და სატელევიზიო გადმოცემა ღამის ზნათობის ზედაპირიდან! შემდეგ ავტომატური სადგური „ლუნა-10“ გახდა მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. მთვარისირგვლივ ორბიტაზე გავიდა კიდევ ორი საბჭოთა სამეცნიერო ლაბორატორია — „ლუნა-11“ და „ლუნა-12“, რომლებმაც კვლევის დიდი კომპლექსი შეასრულეს. მიმდინარე წელს მთვარეზე დაჯდა ამერიკული ავტომატური სადგური „სერვეიორიც“. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს მთვარის ორი ხელოვნური თანამგზავრი „ლუნარ ორბიტერი“.

ყოველივე ეს მოწმობს, თუ რა დიდი ყურადღებით ეკიდებიან მთელი მსოფლიოს მეცნიერები მთვარეს.

საბჭოთა მეცნიერების ახალი ექსპერიმენტი, რომელიც „ლუნა-13“-ით განხორციელდა, წინა ექსპერიმენტებზე უფრო ფართო და მრავალფეროვანია. სადგურმა აწარმოა მთელი რიგი საგულისხმო გაზომვები, რათა დადგინა მთვარის გრუნტის თვისებანი. პირველმა რბილად დაჯდომამ მთვარეზე, რაც თებერვალში მოხდა, მკვლევრებს მისცა ცნობები იმის შესახებ, რომ მთვარის ზედაპირული შრე არაა მაინცდამაინც მყარი. სიღრმეში უფრო მყარი შრეებია. „ლუნა-13“ მექანიკური გრუნტსაზომისა და გამაგამოსხივებლის აღმრიცხველი ხელსაწყოს საშუალებით უფრო ზუსტ ცნობებს გადმოგვცემს მთვარის გრუნტის შესახებ.

გრძელდება „ლუნა-12“-ის ფრენა ორბიტაზე

საკადესის ცნობა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1966 წლის 25 ოქტომბერს მთვარის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაიყვანეს ავტომატური სადგური „ლუნა-12“.

სადგური უკვე ორ თვეზე მეტი ხანია დაფრინავს. განვლილ პერიოდში სადგურმა „ლუნა-12“-მა გაიარა დაახლოებით შვიდ მილიონ ნახევარი კილომეტრი და 445-ჯერ შემოუარა მთვარეს.

ავტომატურ სადგურ „ლუნა-12“-თან მოეწყო რადიოკავშირის 195 სეანსი. ამ სეანსების დროს ხორციელდებოდა ტრაექტორიული გაზომვები, გადმოცემული იყო ინფორმაცია სადგურზე დადგმული სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

მიღებულ მონაცემებს ამუშავებენ.

სადგურთან დამყარებულია მტკიცე რადიოკავშირი.

თანამშრომლოგის სულისკვეთებით

ბუდაპეშტი, 28 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკებანი, რის შედეგადაც დიდი შეთანხმება, რომ საბჭოთა კავშირის თანამშრომლობით უნგრეთში აშენდება 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომური ელექტროსადგური.

შეთანხმების შესაბამისად ელექტროსადგური აშენდება საბჭოთა და უნგრეთის ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით. საბჭოთა ორგანიზაციები უნგრეთის ორგანიზაციებს გაუწევენ ტექნიკურ დახმარებას ატომური ელექტროსადგურის დაპროექტებაში, მშენებლობაში, დამონტაჟებასა და ამუშავებაში, აგრეთვე მიაწვდიან საჭირო მოწყობილობებს, ხელსაწყოებსა და მასალებს. უნგრეთის ორგანიზაციები იმუშავებენ ელექტროსადგურის მშენებლობისა და დამონტაჟებისათვის, აგრეთვე დაამზადებენ და მიაწვდიან მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების მნიშვნელოვან ნაწილს.

ატომური ელექტროსადგური უნდა ამუშავდეს 1975 წელს.

ჩვენს დიად საუკუნეში

ფეხვედრები ინგლისში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ინგლისში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა ტელემაყურებლებს დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ი. ვორონოვმა. იგი გამოვიდა სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიით.

ინგლისის პარლამენტის თავაზიანი მიწვევით 14 დღე დავყოვნდი ბრიტანეთის კუნძულებზე. სანამ ჩვენს მოგზაურობაზე გასაუბრებოდეთ, თქვა გ. ი. ვორონოვმა, მინდა ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და შევასრულო საბჭოთა კავშირის ბევრი ინგლისელი მეგობრის სურვილი, რომლებმაც მთხოვეს გადავცე მოსკოველებსა და მთელ საბჭოთა ხალხს მხურვალე სალამი და კეთილი სურვილები.

ეს მოგზაურობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეორე ოფიციალური ვიზიტი იყო ინგლისში. პირველად საბჭოთა საპარლამენტო დელეგაცია ინგლისში იყო 1956 წელს.

ჩვენი მოგზაურობის მიზანი ის იყო, რომ ხელი შეგვეწყო საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის ინგლისის პარლამენტის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან უშუალო კონტაქტების გაფართოებისა და განმტკიცების გზით, უკეთ გავცნობოდით ინგლისელი ხალხის ცხოვრებასა და შრომითს საქმიანობას, ინგლისის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრებისა და საუბრების დროს გაგვეშუქებინა, თუ როგორ გვესმის თანამედროვე მსოფლიოს პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, გაგვეცნო ინგლისის საზოგადოებრიობისათვის საბჭოთა ხალხის მიღწევები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ჩვენი აზრით, დელეგაციამ მიზანს მიაღწია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ყურადღება, რაც საბჭოთა დელეგაციისადმი გამოიჩინეს როგორც ინგლისის სახელმწიფო და ხაზოგადო მოღვაწეებმა, ისე განსაკუთრებით უბრალო ადამიანებმა. საბჭოთა კავშირისადმი პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობას უეჭველად ღრმად აქვს გადგმული ფესვები ინგლისელ ხალხში. ჩვენ ყველგან ვხედავდით, თუ რა ცხოველი ინტერესით ეკიდებოდნენ ჩვენს ქვეყანას — მის ეკონომიკას, მეცნიერებას, კულტურას, ვგრძნობდით, რომ ინგლისელ ხალხს სურს განვითარდეს სავაჭრო, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის. ინგლისელმა პარლამენტარებმა ჩვენთვის შეიმუშავეს ვრცელი და მრავალფეროვანი პროგრამა, რომელმაც ხაზგასმა მოგვცა გვენახა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა რაიონი. ინგლისში ჩვენი ვიზიტის ერთ-ერთ პირველ დღეს ჩვენ ვვირგვინით შევამკეთ კარლ მარქსის ხაფლავი ჰაიგეიტის სახაფლაოზე, აგრეთვე ვიყავით ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში, სადაც კარლ მარქსსა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს უმუშავნიათ.

ინგლისელ წარმომადგენლებთან საუბრებში, ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხში, ოფიციალურ დარბაზობებზე წარმოთქმულ სიტყვებში, განაგრძო გ. ი. ვორონოვმა, ჩვენ ვეხებოდით საერთაშორისო პოლიტიკის სულ სხვადასხვა პრობლემას და, რა თქმა უნდა, — ჯერ ერთი, „ლუნა-13“-მა უარყო ცრურწმენითი ნიშანი, რომ „13 ცალი“ — რიცხვი „ცამეტი“ თარსია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს გ. კუდრიავცევას კოსმონავტმა მფრინავმა. — მთვარის ახალი ავტომატური სადგური რბილად დაჯდა ჩვენი პლანეტის ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირზე და წარმატებით აწარმოებს კვლევას სამეცნიერო პროგრამის შესაბამისად.

ჩვენ უკვე ვნახეთ მთვარის მეცამეტე ავტომატური სადგურის მიერ გადმოცემული ფოტოსურათები. ეს მთვარის ახალი პეიზაჟია. სურათები გვანან იმ ფოტოგრაფიებს, რომლებიც ვნახეთ მიმდინარე წლის დამდეგს, როცა საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-9“-მ მთვარეზე დაჯდომის შემდეგ ირგვლივ „მიმოიხედა“ და დედამიწაზე გადმოსცა „ნანახი“.

ავტომატური სადგური „ლუნა-13“ ახალი დიდმნიშვნელოვანი რგოლია ღამის მნათობის შესწავლის მწყობრ მეცნიერულ სისტემაში. იგი თითქოს აჯამებსო ამ წლის კოსმოსური კვლევის შედეგებს, წლისას, რომელმაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მთვარის ნიშნით“ ჩაიარა.

საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-9“-მ ახალი ერა დაიწყო კოს

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ

ე. მ. ჯაფარიძის საგოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტის საფუძველთანმა განხილვამ გვიჩვენა, რომ იგი სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ მიღებული სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით დასახულ ამოცანებს. გეგმის პროექტის გარშემო კამათის დროს გაირკვა, რომ იგი მოიწონეს როგორც საბიუჯეტო კომისიამ, ისე კამათში გამოსულმა დეპუტატებმა და სხვა ამხანაგებმა. ამავე დროს, მათ წამოაყენეს პროდუქციის ხარისხის ამაღლების, ასორტიმენტის გაფართოების, სახალხო მეურნეობის საჭიროებისა და მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის საჭირო დამატებითი მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყოფის წინადადებანი.

ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება შევაჩერო სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტის ირგვლივ დეპუტატების გამოთქმულ ცალკეულ წინადადებებსა და შენიშვნებზე.

დეპუტატმა შარტავამ დასვა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროებიდან მშენებლობათა მასალებით უზრუნველყოფის საკითხი, აგრეთვე სოფლად მასწავლებლებისა და ექიმების საცხოვრებელი სახლების საიჯარო წესით მშენებლობის და ბიჭვინთის აგურის ქარხნის აღდგენის საკითხი. აფხაზეთის ასსრ მიერ წარმოდგენილი არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების სატატუტო სიები, რომლებსაც დღეისათვის აქვთ დაფინანსების რეალური წყაროები, უზრუნველყოფილი არიან საშენი მასალებით, რაც შეეხება იმ ობიექტების საშენი მასალებით უზრუნველყოფას, რომელთა დაფინანსების წყაროება გამოვლენებული იქნება 1967 წლის განმავლობაში, ამ საკითხებს განვიხილავთ ყველ ცალკე შემთხვევაში და შევიღებთ ზომებს მათი საშენი მასალით შეძლებისდაგვარად დასაკმაყოფილებლად ამ მასალების წარმოების გეგმების გადაჭარბების საშუალებით.

სოფლად მასწავლებლებისა და ექიმების საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომლებიც აიგება სახელმწიფო სახსრებით, გათვალისწინებულია საიჯარო ორგანიზაციების გეგმებში, ხოლო იმ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოები, რომლებიც შენდება საკუთარი სახსრებით, სრულდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების მეშვეობით. აღნიშნული სახლების მშენებლობა ადგილობრივმა საბჭოებმა სამშენებლო მასალებით უნდა უზრუნველყონ ცეკავშირის ხაზით გასაყიდათ გამოყოფილი ფონდებიდან.

ბიჭვინთის აგურის ქარხანა დაიხურა ნედლეულის მარაგის ამოწურვის გამო. იმისათვის, რომ აღნიშნული ქარხნის მუშაობა განახლდეს, საჭიროა აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ აგდილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შეისწავლოს ახალი ნედლეულის ბაზის გამონახვის საკითხი.

დეპუტატებმა უკლებამ, ჯიოევმა, გრძელიშვილმა, პაატაშვილმა, ყულიევმა, ღაჟონიამ, ამხანაგებმა სამხარაძემ, ჩოფიკაშვილმა და სხვა ამხანაგებმა დასვეს საკითხი საბინაო-კომუნალური მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდების გადიდების შესახებ. როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, მომავალ წელს საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი იზრდება 17 პროცენტით, მაგრამ ზოგიერთი უწყებებისა და ქალაქების კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შემცირებაზე გავლენა იქონია იმან, რომ 2.500 ათასი მანეთი გავიღეთ ტაშკენტისათვის 22 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ასაშენებლად. მეტის გამოყოფის შესაძლებლობა ამჟამად არ არის. საჭიროა პირველ რიგში მივიღოთ ზომები გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანად ათვისებისა და საბინაო მშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის. როგორც სესიაზე აღინიშნა, მიმდინარე წელს ვერ სრულდება საცხოვრებელი ბინების საეპსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. ანალოგიური მდგომარეობაა კომუნალურ მშენებლობაშიაც.

მინდა დეპუტატების ყურადღება მივაპყრო ამხანაგ უკლების მიერ დაყენებულ საკითხს: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საბინაო მშენებლობაზე 1964, 1965 და 1966 წლებში გეგმით ყოველწლიურად გამოყოფილი ჰქონდა კაპიტალური დაბანდებანი 600 ათასი მანეთის ოდენობით. მიმდინარე წელს მათ დამატებით გამოეყოთ 100 ათასი მანეთი სამრეწველო მშენებლობაზე გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებიდან, ხოლო 1967 წელს სამეწველო კაპიტალური დაბანდებიდან მოცულობის 2 პროცენტიანი ანარიცხებიდან. ბინათმშენებლობის დაფინანსების ეს წყარო 1967 წელს ნება დართული არ არის.

1967 წლის გეგმის პროექტით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გამოყოფილი აქვს საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფო და კოოპერატიული სახსრები 1.080 ათასი მანეთის ოდენობით, მიმდინარე წელს კი მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა არ აღემატება 900 ათას მანეთს. მატება შეადგენს თითქმის 20 პროცენტს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს 1966 წელს საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი ჰქონდა 400 ათასი მანეთი. 11 თვის გეგმა შესრულებულია 82 პროცენტით. აუთვისებელი დარჩა 65 ათასი მანეთი.

1967 წლის საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 450 ათასი მანეთი, რაც 1966 წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 32 პროცენტით.

ქალაქ თბილისის საბჭოს ხაზით საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფო კოოპერატიული დაბანდებანი, არაცენტრალიზებული წყაროების ჩითვლით, 1967 წელს მიმდინარე წლის შესრულებასთან შედარებით იზრდება 4,4 პროცენტით, ხოლო კოოპერაციულ საბინაო მშენებლობასთან ერთად გაიზრდება დაახლოებით 19 პროცენტით.

საბინაო მშენებლობაში მრავალსართულიანი სახლების აგებაზე გადასვლასთან დაკავშირებით მშენებლობის გაძვირების საკითხი განხილულ იქნება წლიური ანგარიშების საფუძველზე და თუ დადასტურდება რომ ეს აუცილებელია, ქალაქის საბჭოს გამოეყოფა საათანადო სახსრები.

თრიალეთის წყაროებიდან თბილისისათვის წყალსადენის მშენებლობის საკითხი მოითხოვს შესწავლას, რის შემდეგაც ამ საკითხს განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თბილისის წყლით მომარაგების სხვა ვარიანტებთან, კერძოდ ენგურის ვარიანტთან ერთად.

არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების საშენ მასალებით უზრუნველყოფა 1967 წელს, თბილისის მეტროს ჩათვლით იზრდება 300 ათასი მანეთით და შეადგენს 8,4 მილიონ მანეთს.

დეპუტატები შარტავა, ჯიოევი, ხაზარაძე, მოისეევა, მანია, ღაჟონია, ყულიევი, გრძელიშვილი და სხვები ითხოვენ სახსრების გამოყოფას ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი სბავშვო დაწესებულებების, სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაფართოებისათვის.

როგორც მოგახსენეთ, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი ამ მიზნისათვის მიმდინარე წელს მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გათვალისწინებულია გაიზარდოს დაახლოებით 7 პროცენტით. გარდა ამისა, ამ დანიშნულებისათვის გათვალისწინებულია არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი. დამატებითი სახსრების გამოყოფის საშუალება არ არის.

საჭიროა განვახორციელოთ ქმედითი ღონისძიება მიმდინარე წელს სკოლამდელი სბავშვო დაწესებულებების და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაში დაშვებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სოხუმის სტადიონისათვის კაპიტალური დაბანდებების გამოყოფის საშუალება არ არის. ამ შემთხვევაში, თუ იქნება აგდილობრივ ბიუჯეტში ჭარბი შემოსავალი, საგეგმო კომიტეტი განიხილავს ამ ობიექტის საშენი მასალით უზრუნველყოფის საკითხს.

ლენინგორის სკოლა-ინტერნატის მშენებლობისა და ჯავის სკოლა-ინტერნატის გაფართოების შესახებ მოგახსენებთ, რომ ამჟამად დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გამოყოფის საშუალება არა გვაქვს. რაც შეეხება მცირეკომპლექტიანი სკოლების ლიკვიდაციისა და მათი გაერთიანების საკითხს, იგი უნდა გადაიჭრას სკოლა-ინტერნატების მშენებლობისა და გაფართოების გზით. საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე. 1967 წლისათვის განათლების სამინისტროს ხაზით 103 ათასი მანეთი გამოეყოფა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. ამ თანხიდან 89 ათასი მანეთი გათვალისწინებულია ლენინგორის სკოლა-ინტერნატის მშენებლობისათვის.

დეპუტატი შარტავა აყენებს საკითხს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის გაფართოების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მშენებლობისათვის 1967 წლის გეგმით გათვალისწინებულია 900 ათასი მანეთი. ეს სახსრები არ ყოფნის გარდამავალი ობიექტების დამთავრებას (როგორიც არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკისა და ეკონომიკის ფაკულტეტების ახალი კორპუსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკის ფაკულტეტის კორპუსი). ზემოაღნიშნული გამო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მშენებლობის საკითხი განხილულ იქნება 1968 წლის გეგმის პროექტის შედგენის დროს.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დეპუტატმა საყვარელიძემ დააყენა საკითხი სამეცნიერო დაწესებულებებისათვის ხელფასის ფონდის გადიდების შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ხელფასის ფონდი მოცემული არის მიმდინარე წლის დონეზე. მისი გადიდების საკითხს განიხილავს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია და განხილვის შედეგს მოახსენებს მინისტრთა საბჭოს.

დეპუტატმა ჯანგულაშვილმა დააყენა საკითხი ვენახის შპალერზე გადასაყვანი რკინაბეტონის ბოძების ხარისხის გაუმჯობესების, ხარისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფის, წყალსატუმბის მშენებლობის და წნორში 1967 წელს მეღვინეობის პირველადი დამუშავების ქარხნის დაპროექტების შესახებ.

მევენახეობისათვის რკინაბეტონის ბოძების დამზადებას რესპუბლიკაში აწარმოებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „მთავარკონდიმშენი“. საჭიროა მისმა ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ არსებული ნაკლოვანებანი და 1967 წელს უზრუნველყონ რკინაბეტონის ბოძების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

ხარისის საბჭოთა მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფის საკითხი უნდა განიხილოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად, მით უმეტეს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საამისოდ გამოყოფილი აქვს საჭირო სახსრები და მატერიალური რესურსები.

რადგანაც ხარისის საბჭოთა მეურნეობას ამჟამად არ გააჩნია წყალსატუმბის საპროექტო დოკუმენტაცია, მშენებლობის დაწყება 1967 წელს შეუძლებელია, საჭიროა დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1967 წელს უზრუნველყოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ხოლო მისი მშენებლობა განხორციელდეს 1968 წელს.

1967 წელს წნორის ღვინის პირველადი დამუშავების ქარხნის საპროექტო სამუშაოების დაწყების საშუალება არ არის. ამ საწარმოს მშენებლობა ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1969-1970 წლებში. ქარხნის დაპროექტება კი უნდა დაიწყოს 1968 წელს.

დეპუტატმა შონიამ დააყენა საკითხი ყოლეთის დაბლობის ამოშრობილი მიწების სრულად ათვისების, სამელიორაციო სამუშაოებზე ტექნიკის რაციონალურად გამოყენების, მოსახლეობისათვის მიწის მისაყიდი საშენი მასალების ფონდის გადიდების შესახებ.

ეს საკითხები უნდა მოაგვარონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა კოლხეთის ზონის რაიონების ხელმძღვანელებთან ერთად და დასახონ ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკაში ცუდადაა გამოყენებული სწარმოო სიმძლავრეები. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკა და ამავე რაიონის ნოსირის აგურის ქარხანა. ნოსირის აგურის ქარხნის საწარმოო სიმძლავრეა 17 მილიონი ცალი აგური. ფაქტიურად ქარხანა უშვებს 10 მილიონ ცალს. საშენი მასალების სამინისტროს აზრით ამის ერთ-ერთი მიზეზია მუშახელის ნაკლებობა. ამ ქარხანას აკლია 200-მდე მუშა. ფერხდება აგურის გამოშვება და არ გვაქვს საშუალება მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება ამ საშენ მასალაზე. ჩვენი ამოცანაა მუშახელით მაქსიმალურად უზრუნველყოთ ეს საწარმოები და მივიღოთ ყველა ზომა მომავალში ამ მხრივ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამხ. მელაძემ დააყენა საკითხი ადრე ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში მყოფი და ამჟამად არასამრეწველო უწყებებს დაქვემდებარებული საწარმოების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსათვის დაბარებების, საქოველტყო ორგანიზაციის შექმნისა და სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციის გაძლიერების შესახებ.

აღნიშნული საკითხების თაობაზე, მათი შესწავლის შემდეგ, მინისტრთა საბჭო მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

დეპუტატი შარტავა და სხვა ამხანაგები შეეხნენ საწარმოებისა და სამშენებლო ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხებს. 1967 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა მთლიანად მომარაგდა ენერგეტიკული, ავტომობილური, ფეროვანი და ფერადი მეტალურგიული, ქიმიური, ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხეტყის, ტყეთმოძრაობის, ტრანსპორტის, ელექტროენერგეტიკის, ელექტრონული, ელექტროტექნიკური, ელექტროსაგაზომი, ელექტროსაგაზომი, ელექტროტექნიკური, ელექტროსაგაზომი, ელექტროტექნიკური, ელექტროსაგაზომი, ელექტროტექნიკური

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა და თანამოხსენების გამო

(დასასრული)

დეპუტატ
შ. ო. გრძელიშვილის

სიტყვა

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე წელს პირველად და ამავე დროს გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმა. წარმატებით შესრულდა მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დავალებები, რამაც საშუალება მოგვცა ვადაზე ადრე და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეგვასრულებინა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებანი. ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფილია პირუტყვისათვის საჭირო რაოდენობის უხეში და წვნიანი საკვებით. წესრიგდება საზამთრო სადგომები, მეცხოველეობის ფერმები დაკომპლექტებულია გამოცდილი მუშაკებით.

რაიონის მშრომელები არ იშურებენ ძალასა და ენერგიას, რათა ახალი წარმატებებით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას სახალხო მეურნეობას ალმავლობის გაუმჯობესებისათვის.

უმიგალითო ერთსულოვნებისა და ახალი ამოცანების შესრულებისათვის მზადყოფნის ვითარებაში გაიმართა ამ რამდენიმე დღის წინათ ახალციხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება, რომელმაც შეაჯამა გაწეული შრომის შედეგები. შეკრების მონაწილეებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რომ მომავალ წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად ამრავლონ წარმატებები და ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

დეპუტატ
ლ. დ. სახოკიას

სიტყვა

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს ხუთწლედის პირველი წელი ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. რაიონის მეჩაიეებმა ვადაზე თვენახევრით ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება, სამშობლოს მისცეს 29.220 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25.270 ტონისა. ამ თვალსაჩინო წარმატებებში დიდი წილი შეიტანეს სოფლების ჯიბაშვარის, ნარაზენის, კორცხელის, რუხის, კახათის, ახალსოფლის, ჩხორაის, ჭკადუაშის და სხვა კოლმეურნეობათა, ინგირის, ხეცერის, ნარაზენის, ონარიის, ზედა ეწერისა და ანაკლიის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა.

რაიონის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ბაზაზე კიდევ უფრო ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე. კოლმეურნეობებში შრომის ყოველთვიური დარანტირებული ანაზღაურების წარმატებით დანერგვამ გაზარდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება თავგანმა შრომის შედეგებით.

სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებულ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატებს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია რაიონული საბჭოს 66 და სასოფლო საბჭოების 469 დეპუტატი, რომლებიც შრომითი გმირობის მაგალითებს აჩვენებენ.

დეპუტატი ლაპარაკობს ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებებზე, რომელშიც თვითონ მრომობს. კოლმეურნეობამ წელს სახელმწიფოს ჩაბარა 814 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 103 ტონა საყოფენე მასალა, 110 ტონა უხეში ჩაის ფოთოლი, 67 ტონა რძე, 49 ათასი ცალი ლიმონი და სხვ.

დეპუტატი სთხოვს სესიას გაითვალისწინოს დამატებითი სახსრები ზუგდიდის რაიონში სასკოლო შენებლობის გაფართოებისათვის, ქალაქ ზუგდიდში ტრიკოტაჟისა და სოფელ დარჩელში ჩაის ფაბრიკების შენებლობისათვის.

დეპუტატ
ე. პ. ხაჩატუროვის

სიტყვა

ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ თბილისის საწარმოო კომბინატი ერთადერთი მსხვილი საწარმოა საქართველოში, რომლის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს ჟველა საჭირო მასალით ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურების მშენებლობა, მათ შორის ისეთი დიდი ელექტროსადგურებისა, როგორიცაა ენგურჰესი და თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. კომბინატი ამ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს წარმატებით ასრულებს. მიმდინარე წლის მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 3 დეკემბრისათვის.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება კვალიფიციურ მუშათა კადრების შემოკრებისა და მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. კომბინატის კოლექტივისათვის აშენდა რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, გათვალისწინებულია მომავალი წლისათვის სამი ახალი სახლის შენებლობა, რაც შესაძლებელს გახდის, უახლოეს წლებში დაკმაყოფილდეს საცხოვრებელი ფართობით კომბინატის კოლექტივის მოთხოვნილებანი.

კომბინატის საცხოვრებელ უბანში აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლა ათასი მოსწავლისათვის, გაიხსნა გასტრონომიული მაღაზია და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

დეპუტატი სვამს საკითხს გამოიყოს სახსრები იმისათვის, რომ უფრო ფართოდ გაიშალოს საცხოვრებელ უბანში კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო შენებლობა.

დეპუტატ
შ. ი. ამირანაშვილის

სიტყვა

ამ უკანასკნელ წლებში დიდი ნაბიჯებით მიდის წინ საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის განვითარება. პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების ცენტრშია კულტურის მონაპოვართა დაცვა.

მუზეუმებში მოწყობილ ექსპოზიციებს ყოველწლიურად ორ მილიონამდე მნახველი ეცნობა. დიდ სამეცნიერო-საკვლევ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად გადაიქცა აჭარისა და აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმები. ფართო კვლევით მუშაობას აწარმოებენ ქუთაისის, ზუგდიდის, გორის და თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები.

მიუხედავად ამისა, განაგრძობს დეპუტატი, ბოლო წლებში მუზეუმების რიცხვი შემცირდა, შემცირდა სახიობეტო ასოციაციათა ოდენობაც, რაც აფერხებს სამეცნიერო-საკვლევი ხასიათის ექსპედიციების მოწყობას, ახალი ექსპონატების შეძენას. გაუმჯობესებას საჭიროებს მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმე. თუ 1962 წელს ამ საჭიროებისათვის 330 ათასი მანეთი იყო გამოყოფილი, 1967 წელს ამ მიზნით გათვალისწინებულია მხოლოდ 150 ათასი მანეთი.

დეპუტატი სთხოვს სესიას ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის ვალუმჯობესებისათვის და სარეკლამაციო სამუშაოების გაფართოებისათვის 1967 წლის გეგმაში დამატებით გაითვალისწინოს 200 ათასი მანეთი.

დეპუტატ
ვ. ა. პაატაშვილის

სიტყვა

მიმდინარე წელს საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის სამრეწველო საწარმოებმა თერმოტეტი ათ მილიონი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 101,5 პროცენტით. მთელ რიგ დარგებში გეგმასთან შედარებით შემცირებულია კომუნალური მომსახურების თვითღირებულება.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად ამ სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი მთგანი ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, აძვირებს მომსახურებას.

მაგრამ რა რიგ კარგადაც არ უნდა მუშაობდნენ კომუნალური საწარმოები, აღნიშნავს დეპუტატი პაატაშვილი, უმეტეს შემთხვევაში ისინი ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. საჭიროა ამ საწარმოთა გაფართოება — რეკონსტრუქციისა და ახალი ობიექტების მშენებლობის მკვეთრი გადიდება. არადამაკმაყოფილებლად წარმოებს კომუნალური და საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის გამოყოფილი თანხების ათვისება.

დეპუტატი ლაპარაკობს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების წყალმომარაგების საქმის გაუმჯობესებაზე, ამ მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე და აღნიშნავს, რომ გაწეული სამუშაოები ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ბევრი ქალაქი და რაიონული ცენტრი მოითხოვს გადაუდებელ სამუშაოებს წყალსადენების ქსელის გაფართოებისათვის.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში იგრძნობა საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობა. ამავე დროს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის გეგმის პროექტით საბინაო მშენებლობის მოცულობა ქომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაზით, ქალაქ თბილისის გარდა, მიმდინარე წელთან შედარებით მნიშვნელოვნადაა შემცირებული. დეპუტატი სთხოვს საქართველოს მინისტრთა საბჭოს მომავალი წლის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების პროცესში გაადიდოს საბინაო მშენებლობის მოცულობა, რათა შენარჩუნებულ იქნეს საბინაო მშენებლობის 1966 წლის დონე.

დეპუტატ
მ. უ. ყულიევის

სიტყვა

დეპუტატი ლაპარაკობს მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებზე მომდინარე საგეგმო წელს, ასახელებს მოწინავეებს, რომლებიც სათავეში უდგანან მშრომელთა შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა. წინასწარი მონაცემებით 14 საბჭოთა მეურნეობა წელს რენტაბელური იქნება და სახელმწიფოს მისცემენ დაახლოებით 4 მილიონ მანეთ მოგებას.

რაიონში ერთ-ერთი ჩამორჩენილი უბანი საზოგადოებრივი მეცხოველეობა და მისი პროდუქტიულობაა. აქ ერთი ტონა რძის წარმოება უჯდებათ უფრო ძვირი, ვიდრე მისი სახელმწიფო ღირებულებაა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მცირე ნამატს ღებულობენ ყოველ ას სულ პირუტყვზე.

მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი ალმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მელიორაციის სამუშაოების შემდგომ გაფართოებას. დეპუტატი სესიის წინაშე აყენებს მნიშვნელოვან საკითხებს სამელიორაციო და სარწყავი ქსელის გაფართოების შესახებ. რაიონში ამისათვის კარგი პირობები ჯისებობს. საჭიროა მდინარე ხრამზე აიგოს წყალსაცავი. მდინარე დებედაზე სათავე ნაგებობა, დაჩქარდეს ზედა-სადახლოს არხისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა. მათი მშენებლობისათვის გაწეული ხარჯები უახლოეს დროში ანაზღაურდება, შეიქმნება იმის საუკეთესო პირობა, რომ მთლიანად დაკმაყოფილდეს რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილება სასმელ და სარწყავ წყალზე.

ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის
მ. მ. სამხარაძის

სიტყვა

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ზესტაფონის რაიონში მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, ზესტაფონისა და რაიონის სოფლების კეთილმოწყობის, მშრომელთა შორის ფიზიკურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. მარტო მიმდინარე წელს რაიონში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების 18 ახალი კეთილმოწყობილი ობიექტი, მრავალი მაღაზია და სხვა სავაჭრო საწარმო.

გარკვეული მუშაობაა გაწეული მშრომელთა სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის. ამაღლდა მოსახლეობის სამკურნალო-პროფილექტიკური მომსახურების ხარისხი, მკვეთრად შემცირდა ინფექციური დაავადებათა რაოდენობა, განმტკიცდა სამკურნალო-პროფილექტიკურ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, რაიონი ამჟამად განიცდის სამედიცინო პერსონალის ნაკლებობას. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საავადმყოფოს ახალი შენობა 360 საწოლით, რაც საგებით დაკმაყოფილებს რაიონს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის
ვ. ი. ვადაჭკორიას

სიტყვა

რესპუბლიკის საერთო პროდუქციის მოცულობაში საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა ხვედრითი წონა 40 პროცენტს აღემატება. ამდენად გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების მაღალნაყოფიერ მუშაობას. მათ კარგად გაითვალისწინეს ეს და დაუდალავი შრომით მიაღწიეს იმას, რომ მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა უკვე 19 დეკემბრისათვის შეასრულეს და სახელმწიფოს წლის ბოლომდე მისცემენ სულ ცოტა 60 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. წარმატებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმაც. გაუმჯობესდა მთელი რიგი რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმებს. მიმდინარე წლის თერმეტი თვის მონაცემებით მხოლოდ 12 საწარმო, ანუ საერთო რაოდენობის 5 პროცენტი ჩამორჩება, რაც საგრძნობლად ნაკლებია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

მკვეთრად შემცირდა რეკლამაციების რიცხვი წინა წლებთან შედარებით. დღითი დღე უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ორატორი ლაპარაკობს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოთა მუშაობის პირველ შედეგებზე და აღნიშნავს, რომ მათი მუშაობის პირველი შედეგები ცხადყოფენ ახალი ეკონომიური რეფორმის უპირატესობასა და ეფექტიანობას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა, რომელიც დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო დავალებანი. მკვეთრად გაიზარდა ამ საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა ფულადი შემოსავალიც. ფაბრიკას ხუთ თვეში დაერიცხებოდა მატერიალური წახალისების ფონდი 26 ათასი მანეთის რაოდენობით, მაშინ როცა დაგეგმვის ძველი მეთოდით დაერიცხებოდა მხოლოდ 9 ათასი მანეთი. საგულისხმოა, რომ თითოეული მუშის პრემიალური ჯილდო 226 პროცენტით გაიზარდა.

დეპუტატ
შ. პ. ღაჟონიას

სიტყვა

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე შრომატევადი დარგის — მეწაღილობის მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის. სულ უფრო მეტად ინერგება ჩაის პლანტაციებში მანქანა-იარაღები, რაც მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მეჩაიეთა მძიმე შრომას. წელს მახარაძის რაიონის პლანტაციებში მუშაობდა 77 ჩაის სარეფი მანქანა „საქართველო“. ამ აგრეგატებით მოკრეფილია 207 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

დეპუტატი ლაპარაკობს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამ ბოლო დროს განხორციელდა მახარაძის რაიონის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ამავე დროს აღნიშნავს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. იგი სესიას სთხოვს გამოიყოს დამატებითი სახსრები მთელი რიგი ობიექტების მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც შემოტანილია სესიის განსახილველად, სრულად ასახავენ იმ მიღწევებს, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს და სავსებით შეესაბამება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის საარსებო ინტერესებს. ამიტომ მთლიანად ვუჭერთ მათ მხარს.

საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის მინისტრის
ი. ს. ჩიაველის

სიტყვა

იმასთან დაკავშირებით, რომ სულ უფრო ფართოვდება სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა, აღნიშნავს ამხ. ჩიაველი, სულ უფრო მეტად საჭირო ხდება საშინაო მასალათა წარმოების გაზრდა. საშინაო მასალათა მრეწველობის მუშაკებს კარგად ესმით, რომ მათს საქმიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული სამშენებლო პროგრამის განხორციელება. თუ ჩვენ უზრუნველყოფთ საშენი მასალებით სამშენებლო ობიექტებს, ამით შეიქმნით საუკეთესო პირობებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს. ბევრმა საწარმომ ვერ უზრუნველყო მთელი სიმძლავრეების ამოქმედება. ცოტას ვუშვებთ საკიდლე მასალასა და ადურს. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საქართველოში აიგოს საკიდლე მასალათა ქარხანა, რომელიც რამდენიმე ასეული მილიონ პირობით აგურს გამოუშვებს წელიწადში. გათვალისწინებულია აგრეთვე აიგოს რამდენიმე ქარხანა, რომლებიც დაამუშავებენ მარმარილოს, გრანიტსა და ტუფს, გამოუშვებენ საშენ მასალებს.

სამინისტროს კოლექტივი საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებთან ერთად მუშაობს აგურის ხარისხისა და სხვა მოსაპირკეთებელ მასალათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მომავალ წელს კასპის ციმენტის ქარხანა გამოუშვებს ფერადი შიფრის პირველ საცდელ პარტიას. რუსთავის ცემენტის ქარხანაში პირველად საბჭოთა კავშირში გაისად გამოშვებული იქნება ახალი მაღალი მარკის ციმენტი, რომელიც ძირითადად მოხმარდება ენგურჰესის მაღლივი თაღოვანი კაშხალის მშენებლობას. ყოველივე ეს და სხვა ღონისძიებანი, რასაც სამინისტრო ახორციელებს, საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავადიდოთ საშენ მასალათა წარმოება, ავამაღლოთ მათი ხარისხი.

დეპუტატ
ო. ვ. თაქთაქიშვილის

სიტყვა

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით განვითარდა საქართველოს ხელოვნება და კულტურა. ამის ნათელი დადასტურება იყო შოთა რუსთაველის იუბილეი, რომელიც დიდი ზეიმით აღინიშნეს საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის შრომელებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. წარმატებანი ბევრი გვაქვს, მაგრამ ხელოვნების მუშაკები როდი უნდა სკერდებოდნენ მიღწეულს. უკვე დაიწყო მზადება ახალი დიდი თარიღისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის. საჭიროა საქართველოს კულტურის მუშაკებმა საქმით უპასუხონ საიუბილეო ლოზუნგებს: ყველაფერი დიადი დღესასწაულისათვის, ყველაფერი ამ დღესასწაულში ჩვენი ღირსეული მონაწილეობისათვის.

გასაკეთებელი კი, განაგრძობს დეპუტატი, ჯერ კიდევ ბევრია. დავიწყოთ თუნდაც თეატრებით. მიუხედავად საგრძნობი მიღწევებისა, ჩვენს თეატრებში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ღრმად შთამბეჭდავი, მასშტაბური, თანამედროვეობის ნათლად ამსახველი დადგმები. ხალხი ელის თემატურად აქტუალურ, ღრმად მხატვრულ ტილოებს, მას სურს დანახოს ამ ნაწარმოებებში აღმფრთოვანებელი სახეები, ჩვენი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი მოვლენები.

ჩამორჩენა გვაქვს მუსიკის დარგშიც. ბოლო წლებში შესუსტდა სიმღერის ჟანრის განვითარება. ჩვენ გვყავს ნიჭიერი კომპოზიტორები. მათ შეუძლიათ შექმნან მაღალხარისხოვანი და ადეკვატი ნაწარმოებები. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ჩვენ გვაკლია თანამედროვეობის ამსახველი პროგრამული სიმფონიური და ვოკალურ-სიმფონიური ქმნილებებიც.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც უნდა განხორციელდეს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე, არის საქართველოს სსრ დღეები მოსკოვში. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ თეატრები და მუსიკალური კოლექტივები, ანსამბლები და ცალკეული შემსრულებლები. საჭიროა გვახსოვდეს, რომ შოთა რუსთაველის იუბილეს შემდეგ, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების გასტროლების შემდეგ მოსკოვში, უნდა შეექმნათ ახალი რეპერტუარი, რომელიც ღრმესეულად ასახავს იმ დიად გარდაქმნებს, რომლებიც მოხდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებისათვის დეპუტატი სთხოვს სესიას გამოიყოს დამატებითი სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. (საქდესი).

იულონ ნიკოლოზის-ძე ლომოური

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მხცოვანი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **იულონ ნიკოლოზის-ძე ლომოური.**

იულონ ლომოური იყო იმ პატრიოტ ქართველ მეცნიერთა წარმომადგენელი, რომელთა სახელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების საკითხები.

იულონ ლომოური დაიბადა 1886 წელს გორის რაიონის სოფელ არბაში, გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკოლომოურის ოჯახში. თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ი. ლომოური 1906 წელს შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1910 წელს გეოლოგიის განხრით. ამავე წელს შედის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამად მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია), რომელსაც ამთავრებს 1913 წელს.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ლომოური მუშაობას იწყებს სმოლენსკის გუბერნიაში უბნის აგრონომად, ხოლო 1914 წლის მაისში გადმოდის საქართველოში და 1921 წლამდე ჯერ თბილისის გუბერნიის ლორის რაიონის აგრონომია, ხოლო შემდეგ თბილისის გუბერნიის აგრონომად მუშაობს. ამავე წლიდან მას ნიშნავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსპექტორად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ინიშნება მიწსახკომის მთავარ აგრონომად, რა თანამდებობაზეც დაჰყო 1923 წლის ბოლომდე. 1923 წელს გადადის თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორად, ხოლო 1929 წლის ივნისში ნიშნავენ ექსპერიმენტული აგრონომიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

პრაქტიკული მუშაობის პარალელურად ი. ნ. ლომოური თავიდანვე აქტიურ სამეცნიერო-კვლევითს და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. 1920 წლის ივნისიდან მოწვეული იყო თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების კათედრაზე ასისტენტად, ხოლო იმავე წლის სათავეში უდგება ახლად დაარსებულ მიწათმოქმედების (შემდეგში მემცენარეობის) კათედრას, რომელსაც განაგებდა 1960 წლამდე.

ი. ლომოური 1929 წელს არჩეულ იქნა დოცენტად, ხოლო 1932 წელს — პროფესორად. უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის დროს ხშირად უხდებოდა სხვადასხვა პასუხსაგები სასწავლო-ადმინისტრაციული თანამდებობის შესრულება.

1943 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ი. ლომოურს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელი.

1946 წელს არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1957 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

პროფესორი ი. ლომოური, როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერების საფუძვლების შესანიშნავი მცოდნე, მიწვეული იყო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ლექციების წასაკითხავად. 1933-36 წლებში სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტში და 1940-44 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა აგრონომიის საფუძვლებში.

მრავალმხრივი და ნაყოფიერია პროფესორ ი. ლომოურის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მას გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი მეცნიერული შრომა, რომლებიც გამოირჩევიან თეორიული სიღრმითა და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობით. იულონ ნიკოლოზის-ძე ლომოურის შრომები საფუძვლად დაედო საქართველოს მინდვრის კულტურათა აგროტექნიკური ღონისძიებებს. მისმა დაუღალავმა სამეცნიერო-კვლევითმა მოღვაწეობამ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს მემინდვრეობის აღმავლობას.

განუზომელია ი. ლომოურის ღვაწლი სოფლის მეურნეობისათვის მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით აღზარდა 40-ზე მეტი მეცნიერი, რომლებიც დღეს ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და საკვლევ დაწესებულებებში. ღრმად ერუდირებული ლექტორისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების საფუძვლების ბრწყინვალე მცოდნის ი. ლომოურის ლექციები ყოველთვის აუდიტორიის შეუნელებელ ინტერესს იწვევდა. კარგი ქართული და ლაკონიური მეცნიერული მსჯელობით გამოირჩეოდა სტუდენტი ახალგაზრდობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის მის მიერ შექმნილი ფუნდამენტალური სახელმძღვანელოები მარცვლეულ და ძირხვნა კულტურებზე.

ი. ლომოური იყო პრინციპული, საფუძვლიანი მკვლევარი, მისი მოღვაწეობა იყო უმწიკვლო და სამაგალითო. იგი ერთნაირი პასუხისმგებლობით ასრულებდა ყოველგვარ საზოგადოებრივ დავალებას, ერთგული ემსახურებოდა სახალხო საქმეს. ამაზე მიგვითითებს თუნდაც რამდენიმე ფაქტი: მრავალი წლის მანძილზე იგი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოს, საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს ჯიშთა გამოცდის ინსტიტუტის საბჭოს წევრი. 1948 წლიდან მრავალჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ი. ლომოურის თავდადებული შრომა ღირსეულად დაფასეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, სამამედო ნიშნის ორდენითა და რამდენიმე მედლით, მათ შორის სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლით.

საქართველოს ხოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ისტორია ყოველთვის თვალსაჩინო, სამამედო ადგილს მიუჩენს გამოჩენილი მეცნიერისა და უბადლო პედაგოგის ი. ლომოურის დიდ დამსახურებას. უაღრესად სპეტაკი, ადამიანთა მოსიყვარულე და პრინციპული მოქალაქე — ასეთად დარჩება ი. ლომოური თავისი მეგობრებისა და აღზრდილების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი

ანკარა, 28 დეკემბერი. (საკდესი). ანკარის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ოფიციალურ ვიზიტს თურქეთის რესპუბლიკაში, რომელიც ახლახან დამთავრდა. გაზეთები ბეჭდავენ საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივ კომუნიკეს, ანგარიშს საბჭოთა სტუმრების ვიზიტის უკანასკნელი დღისა და თურქეთიდან მათი წასვლის შესახებ.

დღეს გაზეთი „ზაფერი“ წერს, რომ „საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრის კოსიგინის ვიზიტი თურქეთში, რაც თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპია, ფორმატებით დამთავრდა და „უცხოეთის ზოგიერთი წრეების მტკიცების საწინააღმდეგოდ საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულწრფელად და გულთბილად მეგებნენ“. კოსიგინის ვიზიტით, წერს გაზეთი, დაიწყო არა მარტო ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების, არამედ აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

მოწონავე სტატიაში ეურნალი „ენი“ წერს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ვიზიტი თურქეთში „დიდნიშვნელოვანი ნაბიჯია ორივე ქვეყნის, თურქეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების გზაზე“.

„თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა განვითარდება“, „გაიზარდა ურთიერთნდობა“ — ასეთია სტამბოლის გაზეთების უმრავლესობის დასკვნა.

„ბილიეთი“, — წერს დასასრულ „მილიეთი“, — გაჟაერვა შიში, რომ

ბინის ვიზიტმა,

„გაზეთი „მილიეთი“ წერს, რომ კოსიგინის ვიზიტი“ ახალი წინგადადგმული ნაბიჯია საბჭოთა კავშირ-თურქეთის დაახლოების გზაზე“. „მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა თვალსაზრისი გვაქვს ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე— ნათქვამია ამ გაზეთის მოწინავე სტატიაში, — ცხადი გახდა, რომ შესაძლებელია ორი ქვეყნის დაახლოება. მხარეებმა განაცხადეს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის ერთგული არიან და გამოთქვეს სურვილი განვითარონ საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა ამ პრინციპის საფუძველზე“. „კოსიგინის ვიზიტმა, — წერს „ტერმი“ — შეფერხდა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის დაახლოება, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო. პირიქით, ამ ვიზიტმა ცხადყო, რომ დაახლო

ცხოვრებისეული სიმართლის ერთგულება

ფერილი მოსკოვიდან

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 30 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე მოსკოვში, კრემლის თეატრის სცენაზე გასტროლები ჰქონდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრს ე. ფურცევას ბრძანებით რუსთაველის სახელობის თეატრი თეატრალური ხელოვნების დარგში მიღწევებისათვის და მოსკოვში შემოქმედებითი ანგარიშის წარმატებით ჩაბარებისათვის დაჯილდოებულ იქნა სსრკ კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, ხოლო თეატრის შემოქმედებით კოლექტივს მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის მადლობა გამოეცხადა.

ქვემოთ ვბეჭდავთ ეურნალ „ტეატრის“ მთავარი რედაქტორის იური რიბაკოვის სტატიას რუსთაველის თეატრის გასტროლების შესახებ. სტატია დაწერილია გაზეთ „კომუნისტისათვის“.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებმა მოსკოვში დიდი წარმატებით ჩაიარა. მოსკოველები გაეცნენ საინტერესო, მაძიებელ კოლექტივს, ნახეს ორიგინალური რეპერტუარი. თუ ვცდით ერთი სიტყვით განვსაზღვროთ შთაბეჭდილება, ეს სიტყვა იქნება — ნიჭიერად. ნიჭიერი და გაბედული არიან აქტიორები, რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები. ისინი არ ერიდებიან იმას, რომ დამოუკიდებელნი იყონ, და არც ტრადიციების დარღვევისა ეშინიათ. ტრადიციები... ეს რთული საკითხია. როცა ამაზე ლაპარაკი ჩამოვარდება თეატრალურ ხელოვნებასთან შეფარდებით, ყველა იმ აზრს გამოთქვამს, რომ ტრადიციებს პატივისცემით უნდა ვეკიდებოდეთ და ვავითარებდეთ. შემდეგ იწყება უთანხმოება, ვინაიდან თვითეულს თავისებურად ესმის, თუ როგორ უნდა ვეკიდეთ მათ პატივს და ვავითარებდეთ.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისათვის ტრადიციები მისი უახლოესი ისტორიაა. თეატრი, რომელიც განთქმულია როგორც მონუმენტური ფორმის, ჰეროიკულ-რომანტიკული სტილის, თეატრალური სრულხმიერებისა და ტემპერამენტის თეატრი, ამ გასტროლებზე სხვაგვარად წარმოდგა.

მის სპექტაკლებში იყო რომანტიკული აღმაფრენაც, მაგრამ ბევრი იყო ისეთი რამეც, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა ჩვენს წარმოდგენას მის ტრადიციებზე. იყო დახვეწილი ფსიქოლოგია, ფარსი, ზღაპარი, იუმორი, პაროდოულობა, მკაფიო თეატრალური პირობითობით თამაში.

რადგან სტატიის ავტორსაც აქვს საკუთარი თვალსაზრისი ტრადიციებისადმი დამოკიდებულებაზე, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობა რუსთაველის სახელობის თეატრში კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა შეიძლება ნაღვლიანად გვიბსუნოთ წარსული დროც. ეს პირველი და ფრიად მნიშვნელოვანი მტკიცებაა, ვინაიდან თეატრისათვის არა არის რა ტრადიციების კონსერვაციაზე უარესი. ჩვენ უკვე გვქონდა ბევრი შემთხვევა თეატრის ისტორიაში, როცა ტრადიციების გადაჭარბებულ პატივისცემას მოსდევდა ის, რომ თეატრი კარავადა მიმზიდველობას მაყურებელთათვის, ისინი აღარ დადიოდნენ თეატრში და დიდებულ ტრადიციებს ვეღარავინ ხედავდა. ცხოვრება წინ მიდის, ვითარდება საზოგადოების ესთეტიკური მოთხოვნილებანი; ამ მოთხოვნილებებს წინასწარ უნდა განჭვრეტდეს და ვითარდებოდეს თეატრიც, პოულობდეს იმ სტილს, რომელიც ერთსა და იმავე დროს შეესაბამება მის მხატვრულ წარსულსა და დროის მოთხოვნილებებს.

ჩემი აზრით, გატსროლების საუკეთესო სპექტაკლები იყო „ვეფხისტყაოსანი“, „სეილემის პროცესი“ და „ჭინჭრაქა“, თუმცა, რა თქმა უნდა, თეატრის სხვა ნამუშევრებიც თავისებურად საინტერესო იყო.

„ვეფხისტყაოსანში“, თეატრის ამ ურთულეს და უადრესად პასუხსაგებ ნაშუშევარში, კოლექტივმა შეძლო ჩვენთვის, ვისაც დედაში არ წაგვიკითხავს დიდებული სტრიქონები, გადმოეცა რუსთაველის სულისკვეთება. ეს ჭეშმარიტად კოლექტიური ნამუშევარი გამხეჭავლულია არა მარტო სიდადის სულისკვეთებით, არამედ იმის შეგრძნებითაც, რომ ეს პოემა დღეს არის დაწერილი.

სპექტაკლის რეჟისორებმა და მხატვრებმა ჭეშმარიტი მხატვრული გემოვნება და თანამედროვე თეატრის ნამდვილი გრძნობა გამოავლინეს. სპექტაკლში არ არის ისტორიულად ზუსტი ჯოსტიუმები, არ არის, კაცმა რომ თქვას, დეკორაციები, ხოლო რუსთაველის დრო, ისტორიის გრძნობა არის.

„ვეფხისტყაოსანზე“ როცა ვლაპარაკობ, საჭიროდ მიმაჩნია ერთი გარემოება აღვნიშნო. თეატრში ახლა სხვადასხვა თაობის ოსტატები მუშაობენ — თეატრის უხუცესი ოსტატებით დაწყებული და გუშანდელი სტუდენტებით დამთავრებული. და „ვეფხისტყაოსანი“ ამტკიცებს, რომ თეატრს ჰყავს არა მარტო კარგი მსახიობები, არამედ ერთ შემოქმედების ენაზე მოლაპარაკე მხატვართა ჯგუფი. ეს თეატრის რეჟისურის დამსახურებაა.

„ჭინჭრაქამ“ — გ. ნახუცრიშვილის ამ ლაპაზმა და კეთილმა ზღაპარმა, რომელიც მ. თუმანიშვილის მიერ არის დადგმული, — ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ძველი ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი ხელოვნება საინტერესოა ბავშვებისთვისაც და მოზრდილებისთვისაც. მოსკოველები დიდი კმაყოფილებით უყურებდნენ ამ სპექტაკლს, ტკბებოდნენ მისი სიმსუბუქით, სინატიფითა და სიზუსტით. ამ ზღაპარში შესანიშნავი მსახიობები მონაწილეობენ. მათ თავიანთ სიცოცხლეში შეუქმნიათ უდიდესი სირთულის სახეები, და ისინიც მომხიბვლელი უშუალობით ქმნიან ამ სპექტაკლში მგლის, დათვის, ტურის, მელიის, დევის როლებს. ს. ზაქარიაძემ, რომლის ლირმა მოსკოველ თეატრალებს შორის მთელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, დევის როლით გვიჩვენა, რომ მის ხელოვნებას საზღვარი არა აქვს. ოსტატის ნიჭი და გამოცდილება უმარჩილებენ მას ტრაგედიის სიღრმეებსაც და კომედიის მწვერვალებსაც. ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები ყოველთვის რთულია, იგი მრავალ სტილისტურ მოტივს შეიცავს. და ვიღებთ ხალიჩის, ძველებური ფრესკის მრავალფეროვნებას. ასე — „ჭინჭრაქაში“ არის დრამის ელემენტებიც, შესანიშნავი პაროდიებიც, ბუფონადაც და ყველაფერი ეს ერთიანი სიცოცხლით ცოცხლობს. ეს ერთიანობა მიღწეულია რეჟისორის მიერ.

ამიტომ „ჭინჭრაქა“ თეატრალობის, თეატრის მომაჯადოებელი ძალის, შემოქმედებითი სიხარულის ზეიმიც არის. გარდა ამისა, თეატრი აქ, ისევე როგორც „სიბრძნე სიცრუისაში“, გვაგონებს ძველ ხალხურ სანახაობებს, მოედნის თეატრს. ცხადია, რომ ამ სპექტაკლშიც ტრადიციების ბუნებრივ, თავისუფალ და შემოქმედებითს გამდიდრებას ვხედავ.

ა. მილერის „ხეილემის პროცესი“ თეატრის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნამუშევარია. გარკვეული აზრით ეს სპექტაკლი „უფრო ჩვეულებრივია“, ვიდრე რუსთაველელთა სხვა ნამუშევრები: აქ არ არის ქაოსული კოლორიტი, არ არახ „ჭინჭრაქას“ თეატრალური ფანდებიც, არც „ვეფხისტყაოსნის“ თავისებურება და სიდიადე. აქ არის „ნორმალური“ დრამა.

ამ სპექტაკლით რეჟისორი რ. სტურუა თავის თავს აყენებს ახალგაზრდა თაობის უაღრესად საინტერესო რეჟისორთა რიგში, რომლისკენაც მომავალში საინტერესო ნამუშევრებს უნდა მოველოდეთ. ამ სპექტაკლში იგრძნობა სიახლე, იგი თავისუფალია შტამპებისაგან (ამ სპექტაკლს კი ისინი უფრო მეტად ემუქრებოდნენ, ვიდრე თეატრის საკასტროლო რეპერტუარის ყოველ სხვა სპექტაკლს) და ამავე დროს მასში არის ოსტატობის სიმტკიცე, მხატვრული დამთავრებულობა.

ახალგაზრდა რეჟისორებს, რომლებიც ცდილობენ მიაგნონ ახალ ფორმებს, თეატრის ახალ ენას, ჩვეულებრივ უსაყვედურებენ ებას, რომ არ ეწერხებათ მსახიობებთან მუშაობა, უნარი არ შესწევთ „ააგონ“ სახის ფსიქოლოგიური ხაზი, დაეხმარონ მსახიობებს დაეუფლონ პერსონაჟის შინაგან სამყაროს. ამ აზრით „სეილემის პროცესი“ ავტორიტეტული უარყოფაა. სწორედ ამ სპექტაკლს განასხვავებს გმირების შინაგანი სამყაროს ზუსტი დამუშავება, მსახიობების მიერ ფსიქოლოგიური ამოცანების შესრულების სიზუსტე. ამ სპექტაკლში არ არის არავითარი გარეგანი ნახატი, არავითარი არაბუნებრივი თამაში, ყველაფერი როლის არსზე, აზრზეა დამოკიდებული.

მსახიობთა ანსამბლი იმდენად შეკავშირებულია ამ პრინციპით, რომ მასში გამოეჩევა თვით ისეთი ოსტატის ოდნავ მკაფიო ნახატიც კი, როგორიც ს. ზაქარიაძეა დეფორტის როლში.

ძნელია ამ სპექტაკლში გამოვყოთ რომელიმე მსახიობი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შესანიშნავად თამაშობენ ახალგაზრდა მსახიობები ი. გიგოშვილი (ამოგანელი), მ. მაღლაკელაძე (მერი). დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ე. მაღლაშვილის მიერ ჯონ პროქტორის როლის შესრულება.

თეატრის ყველა სპექტაკლში შეიძლებოდა გვეთქვა არა მარტო ცალკეული სცენების, არამედ მთელი სპექტაკლის სტილისტკაკის რეჟისორული გადაწყვეტის სიზუსტე. რუსთაველის სახელობის თეატრის რეჟისორები გასაოცარი სიზუსტით გრძნობენ ავტორის სტილს. ამ სპექტაკლშიც არის ავტორის სტილის გამოხატვის იგივე სიზუსტე. სპექტაკლმა ზომა იცის ყველაფერში, მასი დეკორაციების გამომსახველობაში: დიდი, მძიმე კოჭები, ქვის უხეშად შელესილი კედლები; ფსიქოლოგიურ დეტალიზაციაში, რომელიც ვამოჰყოფს მთავარ, ძირითად მომენტებს და უარყოფს ყოველივე შემთხვევითს, არასავალდებულოს. ეს სპექტაკლს გარკვეულ განზოგადებას, მონუმენტურობას ანიჭებს.

თეატრს მხოლოდ ეს სამი სპექტაკლიც რომ ჩამოეტანა, შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ მრავალფეროვანია თეატრის მხატვრული საშუალებანი, რომ იგი თავისუფლად ფლობს თეატრალური პალიტრის ფერებს. ეს კარგი ნიშანია, იმის ნამდვილი სიმპტომია, რომ თეატრი მხატვრულად ჯანსაღია. რეჟისორების სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობანი აწონასწორებენ და ამდიდრებენ ურთიერთს.

რა თქმა უნდა, ხელოვანის მუშაობას მუდამ წარმატება როდი სდევს თან. რაღაც უკეთ გამოუდის, რაღაც კარგად ვერ გამოუდის. ასე, რ. სტურუაზე თუ ვილაპარაკებთ, ჩვენ რომ მხოლოდ „მზიანი ღამე“ გვენახა და არ გვეცოდნოდა „სეილემის პროცესი“, ჩვენი წარმოდგენა რეჟისორის შესაძლებლობებზე ესოდენ ოპტიმისტური ვერ იქნებოდა. თქმა არ უნდა, „მზიანი ღამის“ ჩანაფიქრი სერიოზულია და პატივისცემის გრძნობას იწვევს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ სპექტაკლში რეჟისორმა ვერ მიაღწია მხატვრულ ერთიანობას, ვერ შეძლო ერთიანი მხატვრული სისტემისათვის დაემორჩილებინა ინსცენირების ძნელი მასალა. ხელოვნებაში ფორმა განუყოფელია შინაარსისაგან, და სპექტაკლი ფორმაშია თუ აგება, აგება შინაარსშიც: მისი იდეები უსიცოცხლო, არასავალდებულო ხდებიან. მაგრამ ამ სპექტაკლშიც კარგად გვიჩვენებენ თავს ახალგაზრდა მსახიობები, რომელთა სახელები სულ უფრო და უფრო ცნობილი ხდება თეატრალურ სამყაროში და მაყურებელთა შორის.

მრავალმხრივ მსახიობად გვიჩვენა თავი გ. ქავთარაძემ, რომელიც, გარდა „მზიანი ღამისა“, კრემლის თეატრის მაყურებლებმა ნახეს „სიბრძნე სიცრუის“ რამდენიმე გარდაქმნაში, სადაც იგი ასრულებს მეზუთე ვეზირის უძნელეს როლსაც, ასრულებს დამაჯერებლად და ჭკვიანურად. ფრიად საინტერესო მსახიობად, რომელიც თავისუფლად ფლობს დამახასიათებლობას, მოგვევლინა კ. კავსაძე „უკანასკნელ მასკარადში“, „სიბრძნე სიცრუისაშიც“, „ბებერ მეზურნეებშიც“, „მზიან ღამეშიც“, გ. მირიანაშვილი — ენამახვილი გულიკო, ზღაპრული მზია „ჭინჭრაქაში“, ი. გიგოშვილი — „სეილემის პროცესში“, „სიბრძნე სიცრუისაში“ და „უკანასკნელ მასკარადში“. ახალგაზრდა თაობის ამ და სხვა ნიჭიერმა მსახიობებმა უკვე შეიტანეს შესამჩნევი ელფერი თავიანთი თეატრის ხელოვნებაში.

„სიბრძნე სიცრუისა“, „ბებერი მეზურნეები“ და „უკანასკნელი მასკარადი“ თავისებური და ნიჭიერი ნამუშევრებია, რომლებმაც ღირსეულად წარმოგვიდგინეს რუსთაველელთა ხელოვნება მოსკოვში.

თვით აზრი სულხან-საბა ორბელიანის წიგნის ინსცენირებისა ჭკვიანურია. ამ ირგვარაკების თამაშის შესაძლებლობა მოეცმოლია თეატრის დღევანდელობით, რომლისთვისაც მისაწვდომი გახდა ბევრი ლიტერატურული ფორმა, რაც დღემდე მიუწვდომელი ჩანდა სცენის ენაზე გადასატანად.

ნ. ხატისკაცს, რომელმაც პიესა დაწერა და თ. მაღლაშვილთან ერთად დადგა ეს სპექტაკლი, კარგი საქმე გაუკეთებია. ეს ჭკვიანური სპექტაკლია, მასი ფორმები დახვეწილია, გადაწყვეტა ლამაზია, როგორც ლამაზია ხოლმე ეფექტურ ადგილ-ნაგადაწყვეტა, — მოულოდნელი ლოგიკით. ამ სპექტაკლში მხატვარ ნ. იგნატოვს გამოუჩენია დიდი მიხვედრილობა, გემოვნება, შეუქმნია გაფორმება, რომელშიც ერომანეთში გადახლართულია ძველი ხალხური საშუალებანი და თანამედროვე თეატრალური ძიება. ეს შესანიშნავი დეკორაციები საბჭოთა დეკორაციული ფერწერის ანთოლოგიაში შევა.

მიუხედავად სპექტაკლის მთელი ღირსებისა, რომელიც პრესამ სავსებით ხამართლიანად აღნიშნა, მაინც ანგარიში უნდა გაეწიოს იმისა, რომ ასეთი ხელოვნება, ასეთი თეატრი შესაძლებელია როგორც კანონიერი, მაგრამ გამონაკლისი, როგორც საინტერესო, მაგრამ კერძო მოვლენა. წარმოიდგინეთ ხუთი ასეთი სპექტაკლი ზედიზედ და, მე დარწმუნებული ვარ, გული გაგიწევთ ფსიქოლოგიური, ზუსტი შინაგანი გამართლების თეატრისაკენ, ჩვეულებრივი თეატრისაკენ.

მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“, რომელიც თეატრის მთავარმა რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა დადგა, სპექტაკლის პროგრამაში ზუსტად განსაზღვრულია როგორც ელეგია. ეს არის კეთილი და სევდიანი სპექტაკლი ღამაზ და ბრძნულ სიბერეზე, მიმავალ ხელოვნებაზე, მიმავალ სიცოცხლეზე, და ეს არის სპექტაკლი სიცოცხლისა და ხელოვნების მარადიულობაზე. ეს მოხუცები ვებრალება ფინალში, როცა, ქორწილზე რომ მიდიან, ცარიელ მაგიდასღა მიუსწრებენ. მათ ეგონათ, რომ ისინი დავიწყნდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი საჭირო აღარ ყოფილან. და ისინი სიცოცხლიდან წავიდნენ.

შეიძლება ითქვას, სპექტაკლი ოდნავ გაჭიანურებულია ასეთი ბებრული რიტმისათვის, მაგრამ შესაძლოა ეს მხოლოდ მოსკოური გემოვნებით იყოს ასე. მაგრამ უდავოა სპექტაკლის მთელი წყობის მხატვრული შეუთავსებლობა ფინალთან, რომელშიც ფრთოსანი ფერია ლიფტით ეშვება დაბლა და უკანასკნელ ბებერს მოუწოდებს წავიდეს სიცოცხლიდან. ეს სიცინა მოსდევს ბ. ზაქარიაძის სახანშნავ მონოლოგს, რომლითაც ყველაფერი ისედაც ნათელია.

ფერია ოსტატის პატარა შეცდომაა, რომლის ფესვები სწორედ იმაშია, რომ თეატრში „ყველაფერი შესაძლებელი“ გახდა. ძნელია შეჩერდე, და ზედმეტ ნაბიჯს დგამ.

არის ასეთი ზედმეტი ნაბიჯები გ. ქორდანიას მიერ დადგმულ ნ. აზიანის „უკანასკნელ მასკარადშიც“. რეჟისორს არცთუ მნიშვნელოვანი ლიტერატურული მასალიდან ეპოქის საინტერესო სურათი შეუქმნია. თუმცა, ჩემი აზრით, შეიძლებოდა ეს სურათი უფრო მძაფრი და ცხოვრებისეული გაკეთებულიყო. ამ სპექტაკლშიც ვხედავთ ამ ტენდენციას, რომელიც კანონზომიერია „სიბრძნე სიცრუისაში“, აქ კი, სხვა მასალაზე, სავალდებულო, ერთადერთი შესაძლებელი აღარ არის.

იხდება ფარდა, და სათამაშო ცხენებზე, ეტლებზე, ვაგონებზე, მამალზე კი მსხდომნი, სრულიად უძრავად გაყინულნი თვალნს თვალწინ წრეზე გაივლიან სპექტაკლის გმირები. ჩანფიქრი გასაგებია — გადმოსცენ იმ დროების თოჯინური ხასიათი, მშიარულად დასცინონ გმირებს, რომლებსაც ეს სავსებით დაუმსახურებიათ, და ეს გაკეთებულია ზოგჯერ გონებამახვილურად, მაგრამ, ჩემი აზრით, მეტისმეტად თეატრალურად, ვინაიდან ისტორია ასე თოჯინური არ ყოფილა, და მენშევიკური საქართველოს მთელ ფანტასმაგორიას მაღმა, მთელ ფარსს მიღმა უნდა იგრძნობოდეს ისტორიის სეფაც და მისი სისხლიც. უფრო გამართლებული იქნებოდა, მსახიობები ასე „ვითომ“ რომ არ თამაშობდნენ, კი არ წარმოგიდგენდნენ, არამედ განიცდიდნენ, უფრო ღრმად და ზუსტად ამართლებდნენ თავიანთი პერსონაჟების ბასიათებს. კომედიურობა ამით არ შემცირდებოდა, არამედ უფრო მტკიცე, ცხოვრებისეულ საძირკველს შეიძენდა.

ამ ზაფხულს მოსკოვში იყო კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრიც. ამრიგად, მოსკოველებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეცნობოდნენ ორ სახელგანთქმულ თეატრს. ახლა არ გამოვუდგები — ამისთვის არც დროა, არც ადგილი — ამ ორი ღირსეული კოლექტივის შედარებას — თვითეულის თავისებურების განსაზღვრას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ორივე მიდის თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების მთავარი მიმართულებათა, ორივე ერთგულია ცხოვრებისეული სიმართლისა. მათ შორის დიდი ხანია არსებობს შემოქმედებითი შეჯიბრება. და ეს დიდი სიკეთეა ქართული თეატრისათვის — მისი ძალის, შემოქმედებითი მრავალფეროვნების, უფლიანი წინსვლის საწინდარია. ოქტომბრის 50-ე წლისთავს ქართული თეატრი ჯანღონით სავსე ეგებება.

იური რიბაკოვი.

ეურნალ „ტეატრის“ მთავარი რედაქტორი.

ჟ. მოსკოვი.

წინასაახალწლო ღღეები თბილისში. სურათზე: დედაქალაქის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირის XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

ფინალისტებმა სტარტი აიღეს

ჭადრაკის მოსკოველ მოყვარულს საგანგებო საჭადრაკო „კერძი“ უნდა მიართვა, რათა შეჭიბრებას დაესწროს. აქ ანშლაგი მხოლოდ მსოფლიო პირველობის დროს არის ხოლმე. ამ მხრივ როგორ არის საქმე თბილისში? მახსოვს უჩვეულო ინტერესი ჩემპიონატისადმი 1959 წელს. როგორც ცნობილია, მადა ჭამის დროს მოდის ხოლმე. ახლა თბილისელ გულშემატკივარს ისეთივე დელიკატესი უნდა მიართვა, როგორც იყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების — ბ. სპასკისა და მ. ტალის მატჩი.

ჯერჯერობით ნათელი არ არის, თუ როგორ ინტერესს გამოიწვევს საბჭოთა კავშირის 34-ე ჩემპიონატი, ამიტომ პრემიერა მცირე დარბაზში გაიმართა. გუშინ რუსთაველის პროსპექტზე უამრავ ვოროშაილოვისტერსა და ოსტატს შეხვდებოდით. მათ ხშირად მიმართავდნენ შეკითხვით — „რატომ არ ჩამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი? ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს მხოლოდ ტ. პეტროსიანი თუ გასცემს. სწორედ ჩემპიონატის დაწყების წინ განაცხადა მან უარი. ძალზე სამწუხაროა! მსოფლიოს ჩემპიონის მონაწილეობა ხომ თბილისის საჭადრაკო ზეიმს დაამშვენებდა. ასეთი კითხვაც ცოტა როდი იყო — „ჩამოვა თუ არა ტალი?“ ეს უველაზე ძალიან ჩემოვნისა გასაგები, როგორც სპასპისთან რიგელი გროსმაისტერის შარშანდელი მატჩის მსაჯისათვის. დიახ, სამწუხაროა, რომ ტალი არ თამაშობს. მაგრამ მკითხველებს უნდა ვაცნობო, რომ იგი მაინც ჩამოვიდა თბილისში.

ტალის ყოფნა თბილისში ტურნირს თავისებურ ეშხს აძლევს. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იგი ყველაზე უფრო ძლიერი მოჭადრაკეა მაყურებელთა შორის. გულშემატკივრები მხოლოდ მოიგებენ იმით, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თავი შეიკავა ტურნირში მონაწილეობისაგან. ეს გულშემატკივრები ხომ გასულ წელს ნამდვილ ცრემლის ღვრამდე მიდიოდნენ!

შარშან თბილისელები მოწონებით შეხვდნენ ბორის სპასკის თამაშსაც. მართალია, ზოგი თბილისელი სპასკიზე ნაწყენია, რომ მან ვერ შეასრულა დანაპირები, წაერთვა პეტროსიანისათვის მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. სპასკი თბილისში არ ჩამოვიდა, რადგან იანგრის დასაწყისში ჰოლანდიაში მიეგზავნება ბევრვიიოის საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

გუშინ ზუსტად ხუთის ნახევარზე დაიწყო საჭადრაკო აღლუმი. მაშინ, როდესაც თბილისელები ახალი წლის შესახვედრად ემზადებიან, ოცი უძლიერესი მოჭადრაკე შეუდგა ხანგრძლივ ბრძოლას.

პირველი გამარჯვება იზეიმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ლ. შტეინმა. მისი იერიში ისე სწრაფად განვითარდა, რომ თვით დაცვის ოსტატობით განთქმულმა ნ. კრუგბეშმაც კი ვერ შეძლო ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა და დამარცხდა.

ერთ-ერთი ყველაზე რთული, დახლართული პარტია ლ. პოლუგაევსკისა და ბ. გურგენიძეს შორის მეტად იზიდავდა მაყურებელს. პოლუგაევსკის ხშირად უხდებოდა ხანგრძლივი ჩაფიქრება. 14 სვლის შემდეგ გურგენიძეს მეტოქეს-თან შედარებით დრო ერთი საათით მეტი ჰქონდა.

მიხი პოზიცია იმედის მომცემიც კი იყო, მაგრამ თანდათან ცაბატნოტმა ქართველი ოსტატიც ჩაითრია. გურგენიძე შეეცდა, წაეგო ორი პაიკი და გადადებულ პოზიციაში საქმე ცუდად აქვს.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა შავებით ე. ვასიუკოვთან გაათანაბრა თამაში, მაგრამ მიტელშპილში ვასიუკოვმა მახე დაუგო მეტოქეს. სმისლოვს პარტიის გადახარჩენად ხანგრძლივი, შეუპოვარი დაცვა მოუხდება. დანარჩენ შეხვედრებში განსაკუთრებულ არაფერი მომხდარა. მოვიდა „საყაიმო წვიმა“. დაზაგიდნენ ლენინგრადელი გროსმაისტერები მ. ტაიმანოვი და ვ. პორჩნოი. ა. სუეტინმა ძალზე შეავიწროა ი. ნიკოლაევსკი, მაგრამ ოსტატმა მაინც მიაღწია ყაიმს. ასეთივე შედეგით დამთავრდა ვ. სავინ-დ. ბრონშტეინის, ე. გუფელდ-ი. ნეისა და ვ. დოროშკევიჩ-ა. ლეონის პარტიები.

სალო ფლორი,

გროსმაისტერი.

სურათზე: ჩემპიონატის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ფოტო გ. ვიაძისა.

„ლოკომოტივის“ წარმატება

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივი განაგრძობს ტურნეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მორიგი მატჩი ლოკომოტიველებს ჰქონდათ ქ. გელზენკირჰენში ცნობილ საკლუბო გუნდ „შალკე-04“-თან და კვლავ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

„დროშის“ კონკურსზე

შეჯამებულია საჭადრაკო კომპოზიციის საკავშირო კონკურსის შედეგები, რომელიც „ეურნალ „დროშის“ რედაქციამ მოაწყო. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 58-მა ავტორმა.

მთავარი პრიზი მიეკუთვნა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის გ. ნადარეიშვილის ეტიუდს. მეორე ადგილი დაიკავა ხერა მოსკოველი ა. კუზნეცოვის ეტიუდმა, მესამე — თბილისელი ვ. კალანდაძის ეტიუდმა.

სპორტული ფლის ლაურეატები

საქართველოს სპორტულ ეურნალისტთა ფედერაციამ მოაწყო ტრადიციული საახალწლო ანკეტა ჩვენი რესპუბლიკის ათი უძლიერესი სპორტსმენის გამოსავლენებლად.

საქართველოს უძლიერეს სპორტსმენად აღიარებულ იქნა თბილისის დინამოელი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი.

გარდა ა. მეტრეველისა ათეულში მოხვდნენ: მოჭიდავე რ. რურუა, ჭადრაკე ნ. ალექსანდრია, მძლეოსანი ი. დიაჩკოვი, ველოსიპედისტი ო. ფხაკაძე, მოჭიდავეები ბ. გაფრინდაშვილი, მოჭიდავეები ბ. სალარაძე და ა. კიკნაძე, მოფრიალე ვ. ასათიანი, ფეხბურთელი ს. მეტრეველი.

„კომუნისტი“

ხუთფონიანი ონავარი

კიშინიოვი, 29 დეკემბერი. (საქინფორმი). ინდურმა ნაციონალმა ასპელმა, პირველმა ამ ჯიშის სპილოთაგან, სამოცდათხუთმეტი კილომეტრი გაიარა დათოვლილი გზატეხილით. ეს გასეირნება მოუწყვეს იმისათვის, რომ ხუთტონიანი გიგანტი კარგ გუნებაზე დამდგარიყო ზოოლოგიური ცირკის ვოლიერში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ.

გზა დნესტრისპირა ქალაქ ტრაპოლიდან კიშინოვამდე სპილომ გაიარა ოც საათში. ასამმა ორჯერ მოიხოვა გაჩერება, მოსწია ჯაგები, რომლითაც მიბმული იყო ნელამძრავი ავტომობილზე. ერთ-ერთი მოთხოვნა იმდენად კატეგორიული იყო, რომ საბედისწერო გამოდგა სამოცდაათ ცხენძალიანი ძრავისათვის: ჯაგმა ძლავრად მოწეკვამ მწყობრიდან გამოიყვანა იგი და ასამის თანამგზავრები იძულებული გახდნენ სხვა ავტომანქანით ესარგებლათ. სპილო კარგ გუნებაზე დადგა, როცა მისცეს შაქრის ულუფა და ერთი კალათი ხილი. ამ სადილს მან დააყოლა ლიტრანახევარი ღვინო, რომლითაც ასამი „თბება“ ყოველდღიურად ზამთარში.

სპილოებს შორის ასამი ითვლება მოზარდად: იგი თოთხმეტი წლისა დაიბადა ბერლინში, ხოლო შემდეგ წამოიყვანეს საბჭოთა კავშირში. მოზარდობის დროს მოუსვენარი გიგანტი ხშირად ამყდავნებდა თავის ზნეს. ერთხელ მან სახურავი მოაგლეჯა ერთ-ერთ ბინაზე, ხოლო ვოლგოგრადში სეირნობის დროს ხორთუმი გააჩერა ტროლეიბუსი.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ტელეფონი მთაში

ასანინა. (საკ. კორ.). ორგორას, ოდუმალას, ხერთვისის, თმოგვისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა საზამთრო ფერმები სოფლებს 50-60 კილომეტრით არის დაშორებული, მთებში, ზღვის დონიდან 2.000-2.500 მეტრზე მდებარეობს. გასულ წელს აქ დამთავრდა ფერმებთან მისასვლელი გზების გაყვანა-კეთილმოწყობა, წელს კი კავშირგაბმულობის ახალი ცენტრალური № 8 საელექტროფიკაციო ტექნიკური კვანძის მუშაკებმა გაიყვანეს ტელეფონების ქსელი.

ახლა ფერმების მუშაკებს ყოველდღიურად შეუძლიათ ტელეფონით დაუკავშირდნენ კოლმეურნეობებს და თავიანთ ოჯახებს.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო

ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, დაწესებულებების, საწარმოების, სკოლების, კლუბების ხელმძღვანელთა, აგრეთვე მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს:

რომ საახალწლო ნაძვისხის მოწყობისა და დადგმის პერიოდში ხანძრის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მკაცრად იქნას დაცული ხანძარსაწინააღმდეგო წესები.

ნაძვისხის მოწყობა დასაშვებია ისეთ სათავსში, რომელიც მეორე სართულზე მაღლა არ მდებარეობს და სულ მცირე ორი გამოსასვლელი ექნება. სათავსის გამოსასვლელები და გასასვლელები ჩახერგილი არ უნდა იყოს. ნაძვისხის ზეიმზე დამსწრეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-16 კაცს სათავსის იატაკის ყოველ 10 კვადრატულ მეტრზე.

ნაძვისხე უნდა დაიდგას მიწიანი კასრით ან უუთით მაგარ სადგარზე ისე, რომ ნაძვისხის ტოტები შენობის კედლებსა და ჭერს არ ეხებოდეს.

ნაძვისხის განათება დასაშვებია მხოლოდ ელექტრონათურებით. იმ შემთხვევაში, როცა სათავსში ელექტროგანათება არ არის, ნაძვისხის მოწყობა დასაშვებია მხოლოდ დღისით.

იმ სათავსში, სადაც საახალწლო ნაძვისხეა, უნდა გამოიყოს პასუხისმგებელი მორიგე და უზრუნველყოფილ იქნას ხანძრის საქრობი საშუალებებით: ცეცხლმაქრებით ან წყლიანი ვედროებით, მშიდრო ქსოვილით ან შალის გადასაფარებლით.

კატეგორიულად აკრძალულია ნაძვისხის მორთვა ბამბით, რომელიც გაჟღენთილი არ იქნება ცეცხლდამცავი შემადგენლობით, ნაძვისხეზე ცელულოიდისაგან დამზადებული სათამაშოების დაკიდება და ბამბაზე ბერთოლეს მარილის მოყრა; სასტიკად აკრძალულია აგრეთვე ნაძვისხის სათავსში შუშხუნების, მაგნიუმის, ბენგალის ცეცხლისა და სხვ. ანთება.

**დაუშვებელ